2024 წლის 13 მარტს ევროპის პარლამენტმა ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა „ხელოვნური ინტელექტის შესახებ ჰარმონიზებული წესების შემოღების შესახებ რეგულაციის“ პროექტი, ხოლო იმავე წლის 21 მაისს ევროკავშირის საბჭომ ერთხმად დაამტკიცა აღნიშნული აქტი¹. შედეგად, 2024 წლის ივლისიდან რეგულაცია შევა ძალაში და ამოქმედებს მსოფლიოში პირველ მოწესრიგებას, რომლის მიზანია დაარეგულიროს კერძო სექტორში ხელმისაწვდომი არსებითად ყველა სახის ხელოვნური ინტელექტი².

ხელოვნური ინტელექტი თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება³. მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიები მაღალი სისწრაფით ვითარდება⁴, რაც გავლენას ახდენს როგორც თითქმის ყველა ინდუსტრიაზე⁵, ისე საშუალო ადამიანის ცხოვრებაზეც კი⁶. შედეგად, აუცილებელია, რომ მოხდეს სფეროს მაქსიმალურად ეფექტიანად რეგულირება, თუმცა, ზემოთ აღნიშნულ რეგულაციამდე, პრაქტიკულად, არანაირი საკანონმდებლო ჩარჩო არ არსებობდა, რაც განსაკუთრებით ზრდის მის მნიშვნელობას.

რეგულაციის პროექტი პირველად ევროკავშირის კომისიამ 2021 წლის 21 აპრილს წარადგინა⁷. შედეგად, შემდგომი 3 წლის განმა-

ვლობაში, მასთან დაკავშირებით მრავალი სხვადასხვა სახის მოსაზრება გამოითქვა, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური შეფასებებით⁸. თუმცა, მიუხედავად პოლარიზებული რეაქციისა, მისი მოღება რადიკალური შინაარსობრივი ცვლილებების გარეშე მოხდა⁹.

ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად რეგულაციის სიახლისა, ხელმისაწვდომია მასთან დაკავშირებული აკადემიური კვლევები, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელდა. აღნიშნული ნაშრომებისა და პირველადი კვლევის გამოყენებით, წინამდებარე ნაშრომის მიზანია, შეაფასოს მიღებული რეგულაცია და წარმოადგინოს მისი ტექსტისა და პოტენციური შედეგების კრიტიკული ანალიზი.

1. რეგულაციის ძირითადი დებულებები

იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის რეგულაცია, ფაქტობრივად, ახალი სფეროს მოწესრიგების პირველ მცდელობას წარმოადგენს, ბუნებრივია, მასში ბევრი ახლებური დებულებაა თავმოყრილი¹⁰. ეს ნიშნავს, რომ რეგულაციის ტექსტთან დაკავშირებით არსებობს ბევრი კითხვის ნიშანი, რომლებზეც დასაბუთებული პასუხის გაცემა, ჯერჯერობით, პრაქტიკის არარსებობის გათვალისწინებით, არ არის შესაძლებელი¹¹.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ რეგულაციის დაფარვის სფერო მოიცავს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას როგორც კერძო,

1 Gornet, M. Maxwell, W. The European approach to regulating AI through technical standards. (2024) The HAL Open Science Journal, 24. გვ. 1-25.
2 European Union Law Electronic Journal (Eur-Lex). Online Database. Available online at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/HIS/?uri=celex:52021PC0206> [Last accessed: 29.05.2024]
3 Voss, W.G. AI Act: The European Union's Proposed Framework Regulation for Artificial Intelligence Governance. (2021) Journal of Internet Law, 25(4). გვ. 8-17.
4 Alon-Barkat, S. Busuioc, M. Human-AI Interactions in Public Sector Decision Making: „Automation Bias“ and „Selective Adherence“ to Algorithmic Advice. (2023) Journal of Public Administration Research and Theory, 33(1). გვ. 153-169.
5 Hacker, P. A Legal Framework for AI Training Data – from First Principles to the Artificial Intelligence Act. (2021) Law, Innovation and Technology Journal, 13(2). გვ. 257-301.
6 Tataru, S.R. Cretu, A.C. Decoding the EU Artificial Intelligence Act: An Analysis of Key Concepts and Provisions. (2024) Journal of Public Administration Finance and Law, 31. გვ. 463-474.
7 Voss, W.G. AI Act: The European Union's Proposed Framework Regulation for Artificial Intelligence Governance.

(2021) Journal of Internet Law, 25(4). გვ. 8-17.
8 Laux, J. Wachter, S. Mittelstadt, B. Three Pathways for Standardisation and Ethical Disclosure by Default under the European Union Artificial Intelligence Act. (2024) Computer Law & Security Review, 53. გვ. 1-11.
9 European Union Law Electronic Journal (Eur-Lex). Online Database. Available online at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/HIS/?uri=celex:52021PC0206> [Last accessed: 29.05.2024]
10 Hacker, P. A Legal Framework for AI Training Data – from First Principles to the Artificial Intelligence Act. (2021) Law, Innovation and Technology Journal, 13(2). გვ. 257-301.
11 Laux, J. Wachter, S. Mittelstadt, B. Three Pathways for Standardisation and Ethical Disclosure by Default under the European Union Artificial Intelligence Act. (2024) Computer Law & Security Review, 53. გვ. 1-11.

ისე საჯარო სექტორში მიზნებიდან გამომდინარე¹². ამავდროულად, ნორმატიულ აქტში დაშვებულია რამდენიმე გამონაკლისი, რომლებშიც შედის სამხედრო და თავდაცვის სფეროებში ხელოვნური ინტელექტით სარგებლობა, ასევე, მისი გამოყენება ექსკლუზიურად კვლევითი და სამეცნიერო მიზნებით¹³.

რაც შეეხება რეგულაციის შინაარსს, აქ გამოყენებულია ე.წ. „რისკებზე დაფუძნებული“ მიდგომა, რომლის ფარგლებშიც, რაც უფრო მეტია რისკი, რომელიც გამომდინარეობს ხელოვნური ინტელექტიდან, მით უფრო მკაცრი წესები ვრცელდება მასზე¹⁴. რეგულაციის მიხედვით, ხელოვნური ინტელექტი, მისგან გამომდინარე რისკის მიხედვით, დაიყო სამ კატეგორიად:

მიუღებელი რისკი – ისეთი სისტემები, რომლებიც კაცობრიობისათვის საფრთხედ აღიქმება. მათ შორის, რეგულაციაში მოყვანილი მაგალითების მიხედვით, შედის კოგნიტური ქცევითი მანიპულაცია (როგორც სრული მოსახლეობის, ისე მისი რომელიმე მოწყვლადი ნაწილის), სოციალური შეფასება (ხალხის კატეგორიებად დაყოფა ან/და ქულათა სისტემით შეფასება მათი ქცევის, სოციალური სტატუსის ან პიროვნული მახასიათებლების მიხედვით), ასევე, ბიომეტრიულ იდენტიფიცირებაზე და ადამიანთა ადგილმდებარეობის განსაზღვრაზე ორიენტირებული ხელოვნური ინტელექტი. მიუღებელი რისკის შემცველი ყველა ხელოვნური ინტელექტის შექმნა ან გამოყენება ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე სრულად იკრძალება¹⁵.

მაღალი რისკი – რეგულაციის ტექსტით, ყველა ხელოვნური ინტელექტი, რომელიც

უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანთა ძირითად უფლებებზე ან მათს უსაფრთხოებაზე, განიხილება მაღალი რისკის შემცველად. ასეთთა შორის შედის ყველა სახის ხელოვნური ინტელექტი, რომელიც გამოიყენება ისეთ სფეროებში, როგორცაა ავიაცია, სამედიცინო აპარატურა, ავტომობილები, ლიფტები, სათამაშოები, ინფრასტრუქტურის ოპერირება, განათლება, შრომა და დასაქმებულთა მართვა, კომუნალური სერვისები, საპოლიციო აქტივობა, მიგრაცია და იურიდიული დახმარება. ყველა სახის მაღალი რისკის შემცველი ხელოვნური ინტელექტი, სანამ იგი ხელმისაწვდომი გახდება მოსახლეობისათვის, უნდა შეფასდეს შესაბამისი ორგანოს მიერ და, შემდგომ, დაექვემდებაროს პერიოდულ შემოწმებას¹⁶.

მცირე რისკი – ყველა ის ხელოვნური ინტელექტი, რომელიც არ ხვდება ზემოთ მოცემულ ორ კატეგორიაში, განიხილება მცირე რისკის შემცველად. ასეთთა შორის არის, მაგალითად, მაგენერირებადი ხელოვნური ინტელექტი (მაგალითად, ChatGPT)¹⁷. მცირე რისკის შემცველ ხელოვნურ ინტელექტს დამატებითი მონესრიგება არ უწესდება, თუმცა მასზე ვრცელდება გამჭვირვალობასთან დაკავშირებული მოთხოვნები¹⁸.

რეგულაციის მიხედვით, როდესაც რაიმე სახის პროდუქტი იქმნება ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, სავალდებულოა, რომ იგი აშკარად იყოს იდენტიფიცირებული, როგორც ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი. ამასთან, მწარმოებელი ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შეუძლებელი იყოს უკანონო პროდუქტის შექმნა¹⁹. ასევე აღსანიშნავია, რომ რეგულაციით შემოღებულია ხელოვნური ინტელექტის შემმუშავებელი ყველა პირისათ-

12 European Union Law Electronic Journal (Eur-Lex). Online Database. Available online at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/HIS/?uri=celex:52021PC0206> [Last accessed: 29.05.2024]. მუხლი 2.1.

13 European Union Law Electronic Journal (Eur-Lex). Online Database. Available online at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/HIS/?uri=celex:52021PC0206> [Last accessed: 29.05.2024]. მუხლი 2.2, პრეამბულის პუნქტი 16.

14 European Union Law Electronic Journal (Eur-Lex). Online Database. Available online at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/HIS/?uri=celex:52021PC0206> [Last accessed: 29.05.2024]. პრეამბულის პუნქტი 14.

15 European Union Law Electronic Journal (Eur-Lex). Online Database. Available online at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/HIS/?uri=celex:52021PC0206> [Last accessed: 29.05.2024]. კარი II.

16 European Union Law Electronic Journal (Eur-Lex). Online Database. Available online at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/HIS/?uri=celex:52021PC0206> [Last accessed: 29.05.2024]. კარი III.

17 Pirozzoli, A. The Human-centric Perspective in the Regulation of Artificial Intelligence. (2024) Insight European Papers, 9(1). გვ. 105-116.

18 Tataru, S.R. Cretu, A.C. Decoding the EU Artificial Intelligence Act: An Analysis of Key Concepts and Provisions. (2024) Journal of Public Administration Finance and Law, 31. გვ. 463-474.

19 European Union Law Electronic Journal (Eur-Lex). Online Database. Available online at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/HIS/?uri=celex:52021PC0206> [Last accessed: 29.05.2024]. კარი IV.

ვის სავალდებულო ქცევის წესები, რომელთა მიზანია კიდევ უფრო გაზარდოს უსაფრთხოების დონე²⁰.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც რეგულაცია აწესრიგებს, არის ხელოვნური ინტელექტის საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი ორგანოების შექმნა. კომისიის ფარგლებში შეიქმნება ხელოვნური ინტელექტის ოფისი, ასევე მასთან არსებული დამოუკიდებელი ექსპერტების სამეცნიერო პანელი. დამატებით, ასევე, შეიქმნება წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებით ჩამოყალიბებული ხელოვნური ინტელექტის საბჭო, რომელთან ერთად იმუშავებს დაინტერესებულ პირთა ფორუმი, რომელიც საბჭოს პერიოდულად წარუდგენს რეკომენდაციებს²¹.

იმ შემთხვევაში, თუკი ხელოვნური ინტელექტის მწარმოებელი დაარღვევს რეგულაციის მიერ დადგენილ წესებს, მას დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობასაც კომისიის ხელოვნური ინტელექტის ოფისი განსაზღვრავს²² და რომელიც შეიძლება, წარმოადგენდეს კომპანიის გლობალური ბრუნვის დადგენილ პროცენტს, რომელიც, ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, განსაკუთრებულად დიდი ოდენობის იყოს, რაც გაზრდის ოფისის გადაწყვეტილებებისა და რეგულაციის მოთხოვნების პრაქტიკაში აღსრულების ალბათობას²³.

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ რეგულაცია, ასევე, მიზნად ისახავს ინოვაციის ხელშეწყობასაც. რეგულაციის მიხედვით, წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ დამოუკიდებელ და დამწყებ კერძო პირებს, გამოიკვლიონ და შექმნან ხელოვნური ინტელექტი ისეთ გარემოში, რომ მოხდეს მისი ფართო საზოგადოებისათვის წა-

რდგენა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადასტურდება მასთან დაკავშირებული რისკების მინიმუმამდე დაყვანის ფაქტი²⁴.

რეგულაცია ძალაში შედის ეტაპობრივად და სრულად ძალაში იქნება მისი გამოქვეყნებიდან 24 თვის ვადაში, თუმცა გამონაკლისად გვევლინება მაღალი რისკის შემცველ ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული სპეციალური დებულებები, რომლებიც ძალაში გამოქვეყნებიდან 36 თვის ვადაში შევა²⁵.

2. დასახული მიზანი და რეგულაციის ტექსტის მასთან შესაბამისობა

რეგულაციის პრეამბულაში ხაზგასმულია, რომ მისი მიზანია, იზრუნოს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვაზე და მაქსიმალურად შეზღუდოს მათი შელახვა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით²⁶. ამასთან, მნიშვნელოვანია იმის გამოკვეთა, რომ რეგულაცია ეხება ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულ მხოლოდ ზოგიერთ საკითხს და ვერ ჩაითვლება ნორმატიულ აქტად, რომელიც აწესრიგებს ხელოვნური ინტელექტის შექმნასა და გამოყენებასთან ასოცირებულ ყველა თემას²⁷.

დღეს აქტიური მსჯელობა მიმდინარეობს ხელოვნური ინტელექტის შექმნასა და ე.წ. „წვრთნასთან“ დაკავშირებით²⁸. დღეს არსებული სტანდარტული პრაქტიკით, ხელოვნური ინტელექტის პროგრამირებისას ხდება მისთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობის ინფორმაციის მიწოდება, რომლის გადამუ-

20 European Union Law Electronic Journal (Eur-Lex). Online Database. Available online at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/HIS/?uri=celex:52021PC0206> [Last accessed: 29.05.2024]. კარი IX.

21 European Union Law Electronic Journal (Eur-Lex). Online Database. Available online at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/HIS/?uri=celex:52021PC0206> [Last accessed: 29.05.2024]. კარი VI-VIII.

22 European Union Law Electronic Journal (Eur-Lex). Online Database. Available online at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/HIS/?uri=celex:52021PC0206> [Last accessed: 29.05.2024]. კარი X.

23 Tataru, S.R. Cretu, A.C. Decoding the EU Artificial Intelligence Act: An Analysis of Key Concepts and Provisions. (2024) Journal of Public Administration Finance and Law, 31. გვ. 463-474.

24 European Union Law Electronic Journal (Eur-Lex). Online Database. Available online at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/HIS/?uri=celex:52021PC0206> [Last accessed: 29.05.2024]. კარი V.

25 European Union Law Electronic Journal (Eur-Lex). Online Database. Available online at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/HIS/?uri=celex:52021PC0206> [Last accessed: 29.05.2024]. მუხლი 85.

26 European Union Law Electronic Journal (Eur-Lex). Online Database. Available online at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/HIS/?uri=celex:52021PC0206> [Last accessed: 29.05.2024]. პრეამბულა.

27 Tataru, S.R. Cretu, A.C. Decoding the EU Artificial Intelligence Act: An Analysis of Key Concepts and Provisions. (2024) Journal of Public Administration Finance and Law, 31. გვ. 463-474.

28 Gibney, E. What the EU's tough AI law means for research and ChatGPT. (2024) Nature, 626. გვ. 938-939.

შავების შედეგადაც ხელოვნური ინტელექტი ვითარდება და ახალ შესაძლებლობებს იძენს²⁹. მაგალითად, ხელოვნური ინტელექტი, რომლის ფუნქციაც ფერწერული ნაშრომების შექმნაა, სწავლობს ადამიანთა მიერ დახატული ნახატების გამოყენებით და შემდეგ შეუძლია, მათი მსგავსი ნახატი თავადაც შექმნას³⁰. აქედან გამომდინარე, ის მხატვრები, რომელთა ნაშრომებიც სხვადასხვა კომპანიის მიერ შექმნილი ხელოვნური ინტელექტის მიერ გამოიყენება, მიიჩნევენ, რომ მათი საავტორო უფლებები ირღვევა³¹. სიტუაცია არსებითად იდენტურია ხელოვნების ყველა სხვა სფეროშიც, რომლებშიც ხელოვნური ინტელექტი „მოღვაწეობს“³². მოცემული საკითხი ხელოვნური ინტელექტისა და მისი გავლენის შესახებ აკადემიური და სამართლებრივი მსჯელობის ერთ-ერთ უმთავრეს ნაწილად გვევლინება, თუმცა რეგულაცია მას არც კი ეხება და მოწესრიგების მიღმა ტოვებს.

კიდევ ერთი თემა, რომელიც რეგულაციის ტექსტში არ გვხვდება, არის ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ჩადენილი დანაშაული. ინტერნეტ-სივრცეში სულ უფრო და უფრო ხშირად ხდება ხელოვნური ინტელექტის გამოყენება უკანონო მიზნებით³³, თუმცა რეგულაცია არც მოცემულ საკითხზე არ გვთავაზობს მოწესრიგებას.

შედეგად, შეიძლება იმაზე საუბარი, რომ, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია ის ნაბიჯები, რომლებიც გადადგმულია მოცემული რეგუ-

ლაციის მიღებით და რომ ევროკავშირი პირველია, რომელმაც შექმნა საკანონმდებლო ჩარჩო ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სფეროს მოწესრიგების მიზნით³⁴. ამავდროულად კი ხაზგასასმელია, რომ საკითხი ამონურული არ არის და ხელოვნური ინტელექტის მოწესრიგება უნდა გაგრძელდეს, რათა შეიქმნას ნორმატიული სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ მიღებული რეგულაციის პრეამბულაში განსაზღვრული მიზანი მართლაც მიღწეული იქნეს.

3. კოტენსიური გავლენა ხელოვნური ინტელექტის განვითარებაზე

როგორც თითქმის ყველა ახალ მოწესრიგებას, ევროკავშირის მიერ ხელოვნური ინტელექტის შესახებ ჰარმონიზებული წესების შემოღების შესახებ რეგულაციის პროექტის პირველად წარდგენასაც მოჰყვა შესაბამისი ინდუსტრიის წევრების მხრიდან ნეგატიური რეაქცია³⁵. გამოითქვა მოსაზრებები, რომ სფეროს რეგულირების გზით ევროკავშირი მხოლოდ იმას უზრუნველყოფდა, რომ მოხდებოდა მის ფარგლებში აღნიშნული სფეროს განვითარების შეზღუდვა და უპირატესობა მიეცემოდა ევროკავშირის გლობალურ კონკურენტებს³⁶.

აღნიშნულთან დაკავშირებით აუცილებელია იმის ხაზგასმა, რომ რეგულაცია, ფაქტობრივად, მხოლოდ ზოგად ჩარჩოდ გვევლინება³⁷. მასში არსებული წესების დიდი უმრავლესობა ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: 1. მონახაზი, რომლის ფარგლებშიც შემდგომ უფრო დეტალური მოწესრიგება უნდა შეიქმნეს; და 2. ზოგადი წესები, რომლებსაც ხელოვნურ ინტე-

29 Luk, A. The Relationship Between Law and Technology: Comparing Legal Responses to Creators' Rights under Copyright Law through Safe Harbor for Online Intermediaries and Generative AI Technology. (2023) *Law, Innovation and Technology Journal*, 16(1). გვ. 148-169.

30 Sganga, C. Is There Still a Policy Agenda for EU Copyright Law? (2023) *International Review of Intellectual Property and Competition Law*, 54. გვ. 1407-1417.

31 Gaffar, H. Albarashdi, S. Copyright Protection for AI-Generated Works: Exploring Originality and Ownership in a Digital Landscape. (2024) *Asian Journal of International Law*, 24. გვ. 1-25.

32 Luk, A. The Relationship Between Law and Technology: Comparing Legal Responses to Creators' Rights under Copyright Law through Safe Harbor for Online Intermediaries and Generative AI Technology. (2023) *Law, Innovation and Technology Journal*, 16(1). გვ. 148-169.

33 Hakan, C. Criminal Liability of Artificial Intelligence from the Perspective of Criminal Law: An Evaluation in the Context of the General Theory of Crime and Fundamental Principles. (2024) *International Journal of Eurasia Social Sciences*, 55(15). გვ. 276-313.

34 Voss, W.G. AI Act: The European Union's Proposed Framework Regulation for Artificial Intelligence Governance. (2021) *Journal of Internet Law*, 25(4). გვ. 8-17.

35 Laux, J. Wachter, S. Mittelstadt, B. Three Pathways for Standardisation and Ethical Disclosure by Default under the European Union Artificial Intelligence Act. (2024) *Computer Law & Security Review*, 53. გვ. 1-11.

36 Tataru, S.R. Cretu, A.C. Decoding the EU Artificial Intelligence Act: An Analysis of Key Concepts and Provisions. (2024) *Journal of Public Administration Finance and Law*, 31. გვ. 463-474.

37 Voss, W.G. AI Act: The European Union's Proposed Framework Regulation for Artificial Intelligence Governance. (2021) *Journal of Internet Law*, 25(4). გვ. 8-17.

ლექტზე მომუშავე პირები, კეთილსინდისიერების პრინციპის ფარგლებში, ისედაც უნდა იცავდნენ³⁸. რეალურად, მყარი, კონკრეტული წესები, რომლებიც არსებითად ცვლის მდგომარეობას, არის მხოლოდ ორი: მარეგულირებელი ორგანოს შექმნა და მიუღებელი რისკის შემცველი ხელოვნური ინტელექტის შემუშავების აკრძალვა³⁹.

ხელოვნური ინტელექტის მნიშვნელობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, მისი მოწესრიგება სპეციალიზებული ორგანოს არსებობის გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია⁴⁰. მართალია, არასწორი რეგულირება ხშირად შეიძლება რეგულირების არარსებობაზე უარესიც კი იყოს⁴¹, თუმცა, მოცემული მდგომარეობით, არ არსებობს მიზეზი ვივარაუდოთ, რომ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებული ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის ოფისი საკუთარ საქმეს ცუდად გააკეთებს. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ხელოვნურ ინტელექტის სფეროში მომუშავე არაერთ კომპანიას უკვე ჰქონდა უსაფრთხოებასთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სკანდალები⁴², შეიძლება იმის თქმა, რომ რეგულაციის არსებობა საჭიროა. შედეგად, იმის თქმა, რომ ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის მიერ ხელოვნური ინტელექტის ოფისის შექმნა რაიმე გზით ნეგატიურ გავლენას იქონიებს მოცემულ სფეროზე, არ არის გამართლებული.

რაც შეეხება მიუღებელი რისკის შემცველ ხელოვნურ ინტელექტს, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნა, ასეთი სახის ინსტრუმენტებზე მუშაობა (თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მომუშავე სპეციალიზებული პირების გარდა) ყველასათვის ბლანკეტურად აკრძალა. რეგუ-

ლაციის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ამ ნაბიჯით ევროკავშირი ჩამორჩება, მაგალითად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, რომელშიც ადამიანთა მონიტორინგი და სოციალური კლასიფიცირება ხელოვნური ინტელექტის განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს⁴³.

რეგულაციის პრეამბულაში პირდაპირ აღნიშნულია, რომ მიუღებელი რისკის შემცველი ხელოვნური ინტელექტი ასოცირდება ისეთ მოქმედებებთან, რომელთა მინდობაც ხელოვნური ინტელექტისათვის არ შეიძლება⁴⁴. ყველა ის სფერო, რომლებიც მიუღებელი რისკის შემცველად არის მოხსენიებული რეგულაციაში, უკავშირდება ისეთ საკითხებს, რომლებიც განსაკუთრებულად დიდი გავლენის მქონეა ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე⁴⁵. შესაბამისად, მათში არასწორად ჩარევა, რაც ხშირად ხდება ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით⁴⁶, დასაშვებად ვერ ჩაითვლება⁴⁷. ამიტომ, ევროკავშირის მიერ მიღებული გადაწყვეტილება – აკრძალოს ასეთი სახის ხელოვნური ინტელექტის შექმნა – ნამდვილად ვერ ჩაითვლება არასასურველ ნაბიჯად.

შედეგად, შეიძლება იმის აღნიშვნა, რომ რეგულაციის დებულებები არსებით ნეგატიურ გავლენას არ მოახდენს ხელოვნური ინტელექტის განვითარებაზე. მეორე მხრივ, ასევე შეიძლება იმაზე საუბარი, რომ საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნამ შეიძლება პოზიტიური ეფექტი იქონიოს აღნიშნულ სფეროზე.

პირველ რიგში, ხშირად ქცევის წესების დადგენა და აკრძალული მოქმედებების აშკარად განსაზღვრა სასურველია ბიზნესისათვის, რადგანაც ეს აქრობს ბუნდოვანებას, რომელიც

38 Pirozzoli, A. The Human-centric Perspective in the Regulation of Artificial Intelligence. (2024) Insight European Papers, 9(1). გვ. 105-116.
39 Tataru, S.R. Cretu, A.C. Decoding the EU Artificial Intelligence Act: An Analysis of Key Concepts and Provisions. (2024) Journal of Public Administration Finance and Law, 31. გვ. 463-474.
40 Novelli, C. Casolari, F. Rotolo, A. Taddeo, M. Floridi, L. AI Risk Assessment: A Scenario-Based, Proportional Methodology for the AI Act. (2024) The Digital Society Journal, 3(13). გვ. 1-29.
41 Baronchelli, A. Shaping new norms for AI. (2024) Philosophical Transactions of the Royal Society, 379. გვ. 1-6.
42 Mitchell, A.D. Let, D. Tang, L. AI Regulation and the Protection of Source Code. (2023) International Journal of Law and Information Technology, 31(4). გვ. 183-301.

43 Mendez-Suarez, M. Virginia, S.M. De Prat, J.M. Do Current Regulations Prevent Unethical AI Practices? (2023) Journal of Competitiveness, 15(3). გვ. 207-222.
44 Novelli, C. Casolari, F. Rotolo, A. Taddeo, M. Floridi, L. AI Risk Assessment: A Scenario-Based, Proportional Methodology for the AI Act. (2024) The Digital Society Journal, 3(13). გვ. 1-29.
45 Mendez-Suarez, M. Virginia, S.M. De Prat, J.M. Do Current Regulations Prevent Unethical AI Practices? (2023) Journal of Competitiveness, 15(3). გვ. 207-222.
46 Mitchell, A.D. Let, D. Tang, L. AI Regulation and the Protection of Source Code. (2023) International Journal of Law and Information Technology, 31(4). გვ. 183-301.
47 Novelli, C. Casolari, F. Rotolo, A. Taddeo, M. Floridi, L. AI Risk Assessment: A Scenario-Based, Proportional Methodology for the AI Act. (2024) The Digital Society Journal, 3(13). გვ. 1-29.

ხელის შემშლელ ფაქტორად გვევლინება⁴⁸. ამასთან, გამჭვირვალობასთან დაკავშირებული დებულებები გაზრდის საშუალო ბიზნესისათვის ხელმისაწვდომი წყაროების რაოდენობას, რაც, ასევე, პოზიტიურად აისახება მომავალში ხელოვნური ინტელექტის განვითარების დონეზე⁴⁹.

ყოველივე ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ რეგულაციის კრიტიკა იმ თვალსაზრისით, რომ იგი ხელს შეუშლის ხელოვნური ინტელექტის განვითარებას ევროკავშირში, საფუძველს არის მოკლებული. პირიქით, მისი შემოღებით მცირდება ბუნდოვანება და უზრუნველყოფილი იქნება გამჭვირვალობა, რომელიც პოზიტიურად აისახება მთლიანად სფეროზე როგორც ევროკავშირის ფარგლებში, ისე მის გარეთ.

დასკვნა

ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს მიერ „ხელოვნური ინტელექტის შესახებ ჰარმონიზებული წესების შემოღების შესახებ

- 48 Mendez-Suarez, M. Virginia, S.M. De Prat, J.M. Do Current Regulations Prevent Unethical AI Practices? (2023) *Journal of Competitiveness*, 15(3). გვ. 207-222.
- 49 Tataru, S.R. Cretu, A.C. Decoding the EU Artificial Intelligence Act: An Analysis of Key Concepts and Provisions. (2024) *Journal of Public Administration Finance and Law*, 31. გვ. 463-474.

რეგულაციის“ პროექტის მიღება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ხელოვნური ინტელექტის სფეროს მონესრიგებაში. ეს არის შედარებადი მასშტაბის პირველი ნორმატიული აქტი, რომელიც კერძო სექტორის მიერ ხელოვნური ინტელექტის კვლევას, შექმნასა და გამოყენებას არეგულირებს. მისი მიღებით იქმნება ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია, რომ ხელოვნური ინტელექტი და მასზე მომუშავე პირები განვითარდნენ. რეგულაცია ხელს არ უშლის სფეროში მოღვაწე პირების მიერ საკუთარი საქმიანობის ეფექტურად შესრულებას და, პირიქით, პოზიტიურ ეფექტს იქონიებს მათზე.

ამასთან, ხსენებული რეგულაცია რჩება მხოლოდ პირველ ნაბიჯად. მის საფუძველზე აუცილებელია, შემუშავდეს როგორც უფრო დეტალური მონესრიგება, რომელიც ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან სფეროს დაარეგულირებს. რეგულაციის ფარგლებში შექმნილი სპეციალური ორგანოები კი ვალდებული არიან, უზრუნველყონ წესების სწორი გამოყენების პრაქტიკაში აღსრულება. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, რომ ხელოვნური ინტელექტის განვითარდეს ისე, რომ მიღწეული იყოს რეგულაციის პრეამბულაში მითითებული უმთავრესი მიზანი – კაცობრიობის კეთილდღეობა.

ბიბლიოგრაფია

1. Alon-Barkat, S. Busuioc, M. Human-AI Interactions in Public Sector Decision Making: „Automation Bias“ and „Selective Adherence“ to Algorithmic Advice. (2023) *Journal of Public Administration Research and Theory*, 33(1). გვ. 153-169.
2. Baronchelli, A. Shaping new norms for AI. (2024) *Philosophical Transactions of the Royal Society*, 379. გვ. 1-6.
3. European Union Law Electronic Journal (Eur-Lex). Online Database. Available online at: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/HIS/?uri=celex:52021PC0206> [Last accessed: 29.05.2024]
4. Gaffar, H. Albarashdi, S. Copyright Protection for AI-Generated Works: Exploring Originality and Ownership in a Digital Landscape. (2024) *Asian Journal of International Law*, 24. გვ. 1-25.
5. Gibney, E. What the EU's tough AI law means for research and ChatGPT. (2024) *Nature*, 626. გვ. 938-939.
6. Gornet, M. Maxwell, W. The European approach to regulating AI through technical standards. (2024) *The HAL Open Science Journal*, 24. გვ. 1-25.

7. Hacker, P. A Legal Framework for AI Training Data – from First Principles to the Artificial Intelligence Act. (2021) *Law, Innovation and Technology Journal*, 13(2). 83. 257-301.
8. Hakan, C. Criminal Liability of Artificial Intelligence from the Perspective of Criminal Law: An Evaluation in the Context of the General Theory of Crime and Fundamental Principles. (2024) *International Journal of Eurasia Social Sciences*, 55(15). 83. 276-313.
9. Laux, J. Wachter, S. Mittelstadt, B. Three Pathways for Standardisation and Ethical Disclosure by Default under the European Union Artificial Intelligence Act. (2024) *Computer Law & Security Review*, 53. 83. 1-11.
10. Luk, A. The Relationship Between Law and Technology: Comparing Legal Responses to Creators' Rights under Copyright Law through Safe Harbor for Online Intermediaries and Generative AI Technology. (2023) *Law, Innovation and Technology Journal*, 16(1). 83. 148-169.
11. Mendez-Suarez, M. Virginia, S.M. De Prat, J.M. Do Current Regulations Prevent Unethical AI Practices? (2023) *Journal of Competitiveness*, 15(3). 83. 207-222.
12. Mitchell, A.D. Let, D. Tang, L. AI Regulation and the Protection of Source Code. (2023) *International Journal of Law and Information Technology*, 31(4). 83. 183-301.
13. Novelli, C. Casolari, F. Rotolo, A. Taddeo, M. Floridi, L. AI Risk Assessment: A Scenario-Based, Proportional Methodology for the AI Act. (2024) *The Digital Society Journal*, 3(13). 83. 1-29.
14. Pirozzoli, A. The Human-centric Perspective in the Regulation of Artificial Intelligence. (2024) *Insight European Papers*, 9(1). 83. 105-116.
15. Sganga, C. Is There Still a Policy Agenda for EU Copyright Law? (2023) *International Review of Intellectual Property and Competition Law*, 54. 83. 1407-1417.
16. Tataru, S.R. Cretu, A.C. Decoding the EU Artificial Intelligence Act: An Analysis of Key Concepts and Provisions. (2024) *Journal of Public Administration Finance and Law*, 31. 83. 463-474.
17. Voss, W.G. AI Act: The European Union's Proposed Framework Regulation for Artificial Intelligence Governance. (2021) *Journal of Internet Law*, 25(4). 83. 8-17.